

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: ძირითადი სასწავლო კურსები - 165 კრედიტი, დამატებით სპეციალობა - 60 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი - 15 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საბაკალავრო პროგრამა ამზადებს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს პროფესიული და კვლევითი საქმიანობისათვის, რაც ეფუძნება ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შეძენას. სპეციალისტად ჩამოყალიბებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას. კურსდამთავრებულს, რომელსაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭება, შესაძლებლობა ეძლევა, სწავლა განაგრძოს სწავლის შემდგომ საფეხურზე და იმუშაოს სახელმწიფო დაწესებულებაში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სპეციალისტად; მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლისა და შესაბამისი სერთიფიკატის მოპოვების შემთხვევაში - საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.
სწავლის შედეგები	ქართველური ენების მიმართულელებაში კურსდამთავრებულმა იცის: ქართული სალიტერატურო ენის ნორმები; ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორია; ქართული ენის გრამატიკა და ლექსიკა; ქართველური ენების სტრუქტურა და განვითარების ისტორია. ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის მიმართულელებაში კურსდამთავრებულმა იცის: ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია; ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის ჟანრები, ქრესტომათიული ტექსტები და მათი ავტორების ბიოგრაფიები. აგნობიერებს ქართული ფილოლოგიის კომპლექსური საკითხების ძირულ კავშირს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის თეორიის ძირითად პრობლემებთან, აგრეთვე, ქართული ენისა და ლიტერატურის ადგილსა და როლს ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში; შეუძლია ქართულ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განსხვავებული დანიშნულების ტექსტის (ესეი, რეფერატი, ანოტაცია, ანგარიში, საბაკალავრო ნაშრომი) დაგეგმვა, ორგანიზება და რედაქტირება. შეუძლია წყაროების, მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ბიბლიოგრაფიის შედგენა, სისტემატიზაცია და გამოყენება. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება, ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენების გზით; აქვს ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, გადამუშავებისა და შეთვისების, ასევე სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; შეუძლია მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება; მზადაა შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გასაგრძელებლად.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: რამაზ ხალვაში , პროფესორი მობ.: 893-357-957

	<p>e-mail: ramaz.khalvashi@bsu.edu.ge მამია ფაღავა, პროფ მობ.: 899 38-06-26 ტელ.: 27-64-93 e-mail: mamia.phaghava@bsu.edu.ge</p>
--	---